გაიმართა პრეზიდენტთან არსებული რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობის საბჭოს სხდომა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 28.10.2022. 27 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ა.ე. ვაინოს თავმჯდომარეობით რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რელიგიური ორგანიზაციების მეთაურებმა, სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური ორგანოებისა და ექსპერტთა საზოგადოების წარმომადგენლებმა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი ვოსკრესენის მიტროპლიტი დიონისე, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე დეკანოზი მაქსიმე კოზლოვი, სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე საზოგადოებასთან და მასმედიასთან ეკლესიის ურთიერთობის საკითხებში ვ.რ. ლეგოიდა.

საგანგებო სამხედრო ოპერაციის პერიოდში რუსეთის ფედერაციის რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ვ.რ. ლეგოიდა.

სხდომის მიმდინარეობისას მაღალი შეფასება მიეცა საბჭოში შემავალი რელიგიური ორანიზაციების მუშაობას სოციალური და საქველმოქმედო პროექტების რეალიზების მხრივ საგანგებო სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობის პერიოდში. რელიგიური ორგანიზაციების მიერ შეკრებილი და გაგზავნილია 4484 ტონა ჰუმანიტარული დახმარება ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიების, ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქების მოსახლეობისთვის. საერთო ჯამში დახმარება აღმოეჩინა 614 000 ადამიანს; დაზარალებულები უზრუნველყოფილნი არიან ცხელი წყლითა და სამედიცინო დახმარებით. გარდა ამისა, აღნიშნული რეგიონებისთვის შესყიდულია და გადაცემულია წყლის ფილტრაციის სისტემები, ელექტრო ენერგიის გენერატორები, ჩატარებულია წყლის ჭაბურღილების ბურღვის სამუშაოები, დაიდგა მყარი საწვავის, გათბობის და გაზის ქვაბები, ბენზინის გენერატორები და გაზის კონვექტორები, ჩატარებულია სხვა რიგი სამუშაოები მშვიდობიანი ცხოვრების აღსადგენად რუსეთის ფედერაციის ახალ სუბიექტებში. საბჭოს წევრებმა ასევე აღნიშნეს რელიგიური ინფრასტრუქტურის აღდგენის მნიშვნელობა ლუგანსკისა და დონეცკკის სახალხო რესპუპლიკებში, ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქებში.

როგორც მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალური საიტი **იტყობინება, Kremlin.ru**-ზე დაყრდნობით, სხდომის დასასრულს განხილულ იქნა საკანონმდებლო და სამართალდამცავი პრაქტიკის სრულყოფილების საკითხები სინდისისა და რელიგიური გაერთიანებების თავისუფლების სფეროში.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89754/